



თბილისი, 17 თებერვალი, 2014

ელექტროენერჯის ქსელური ტარიფის ხელახალი გამოთვლის გეგმები საქართველოში

დღეს საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ახალ ოფისში ტარიფის გამოთვლის ახალი მეთოდები წარადგინეს

ევროკავშირის დამძობილების („ტვინინგის“) პროექტის ფარგლებში სემეკში გაიმართა კონფერენცია, სადაც შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ, რომლებიც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. . შემოთავაზებული ტარიფების გამოთვლის მოდელი ორ მიზანს ისახავს: ჭირველია ქართული სისტემის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება. სემეკის თავმჯდომარემ ირინა მილორაევამ აღნიშნა, რომ „ქვეყანა მზადაა გახდეს „ენერჯეტიკული თანამეგობრობის“ წევრი. არსებული სატარიფო მეთოდოლოგიის რეფორმით სემეკი კიდევ უფრო მიუახლოვდება ამ მიზანს“.

მეორე მიზანია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა. საქართველოში საჭიროა ელექტროენერჯეტიკულ ქსელში დამატებითი ინვესტირება, ელექტროენერჯის მომხმარებელამდე უსაფრთხო და უწყვეტად მიწოდებისათვის. ინვესტიციების გარეშე, ქსელის სტაბილურობა და სადისტრიბუციო კომპანიების სიცოცხლისუნარიანობა საფრთხის ქვეშ დადგება, რაც საბოლოო ჯამში ელექტროენერჯის მიწოდების გაუარესებას ნიშნავს. „ჩვენ გთავაზობთ ტარიფების სამართლიან სტრუქტურას, რაც გულისხმობს ინვესტირებასა და ქსელური კომპანიების სიცოცხლისუნარიანობას. ჩვენი შემოთავაზება ამავდროულად არეგულირებს ქსელური კომპანიების ეფექტურობას, და შესაბამისად სამართლიანი მოგების ნორმის დაწესებას“ აღნიშნა ესტერ შულემ, ავსტრიის ენერჯო მარეგულირებლის E-Control-ის წარმომადგენელმა, რომელიც დახმარებას უწევს სემეკს ამ პროცესებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ტვინინგის“ პროგრამის ფარგლებში.

ტარიფების გამოთვლის შემოთავაზებული მეთოდი შემუშავდა პროექტის პარტნიორებისა და სემეკის ერთობლივი მუშაობის შედეგად. განხილვებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორის სუბიექტებმ დეკემბერში გამართული მრგვალი მაგიდის ფორმატში. პროექტის შედეგებზე საუბრისას გოჩა შონიამ, რომელიც პროექტის ლიდერია საქართველოს მხრიდან, აღნიშნა, რომ „ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის მიღება ხელს შეუწყობს სატარიფო სისტემების მოწესრიგებას, ინვესტიციების განხორციელებას და სხვადასხვა სტიმულების დაწესებას ინვესტირებისათვის“.

ტვინინგის პროექტის სახელწოდებაა „სემეკის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერება წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის შემოღებით“. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ €1,1 მლნ ევროს ოდენობით. პროექტი 21 თვის განმავლობაში გრძელდება. პროექტის პარტნიორები არიან: სემეკი, E-Control (ავსტრია), BNetzA (გერმანია) და PUC (ლატვია), ასევე ავსტრიის ენერჯეტიკული ბირჟა EXAA.



პროექტს ახორციელებს E-Control
www.e-control.at
www.energy-twinning.at

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

19 მიცკევიჩის ქ.
თბილისი, 0194, საქართველო
ტელ.: +995 43 1 256122
ფაქსი: +995 43 1 256121

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, თბილისი
0102 საქართველო
ტელ.: +995 32 2 943763
ფაქსი: +995 32 2 943768

ევროკომისია ევროკავშირის ადმინისტრაციული ორგანოა.

„ევროკავშირი 28 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების განმავლობაში ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ, ახდენდნენ რესურსების მობილიზებას და ქმნიდნენ საერთო მომავალს. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების სივრცე. ამ პროცესში მათ შინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლება. ევროკავშირის მიზანი მის ფარგლებს გაერთ მყოფი ადამიანებისა და სახელმწიფოებისათვის სწორედ ამ მიღწევებისა და თანადრობის ააზიარებაა.“